განახლებულია: 30.09.2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია/Physical Medicine and Medical Reabilitation**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი/Bachelor of Physical Medicine and Reabilitation**
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ნერიმან ცინცაძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: neriman.tsintsadze@bsu.edu.ge ნატო ზოსიძე, ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: nato.zosidze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	240 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	✓ ადამიანის ორგანიზმის, მისი შემადგენელი ნაწილების აგებულების და ფუნქციის შესწავლა ნორმასა და პათოლოგიაში; ✓ კურსდამთავრებულმა შეძლოს ადამიანის ორგანიზმის დაკარგული ფუნქციის აღდგენით ან კომპენსაციით პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ინდივიდუალური სარეაბილიტაციო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება; ✓ კომუნიკაბელური, მაღალი ეთიკური ღირებულებების მქონე რეაბილიტოლოგის აღზრდა, რომელიც შეძლებს პაციენტისა და კოლეგების უფლებების დაცვას, ავტონომიურობაზე, პროფესიონალიზმსა და პასუხისმგებლობაზე დაყრდნობით ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში წვლილის შეტანას;

სწავლის შედეგები	✓ ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის ბაკალავრს ექნება ფართო ცოდნა საბუნებისმეტყველო, ქცევითი, სოციალური მეცნიერებების, საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური მედიცინის, ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის მიმართულებით; ✓ შეეძლება ექიმთან შეთანხმებით ფიზიკური თერაპიის, სარეაბილიტაციო და სხვა პროცედურების ჩატარება პაციენტის ასაკის, დაავადების სპეციფიკის და მიმდინარეობის თავისე- ბურების გათვალისწინებით; ✓ ექნება სამკურნალო-სარეაბილიტაციო დაწესებულებებში სამკურნალო შესაბამისი პროფილის კაბინეტის ორგანიზების უნარი; სარეაბილიტაციო პროცესის მონიტორინგის, კლინიკური შემთხვევების, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო მგომარეობების შეფასების უნარი, პაციენტისთვის მკურნალობის პოტენციური სარგებელის შეფასებისა და მიღებული ცოდნის საფუძველზე შესაბამისი პროცედურების ჩატარების უნარი; ✓ სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ექნება ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის განვითარების დინამიკისა და სხვა მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთების უნარი; ✓ შეძლებს ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მიმართულებით სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიებას, არასრული და განყენებული მონაცემების შეგროვებას, განმარტებას და დასაბუთებული დასკვნის გაკეთებას არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ და მათ წარდგენას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან სხვადასხვა სახის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ✓ ექნება ეფექტური კომუნიკაციის უნარი ნებისმიერ პაციენტთან განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა; ✓ შეეძლება სამედიცინო რეაბილიტაციის სფეროში სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება; ექნება დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვის და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი; ✓ ექნება საკუთარ პროფესიული განვითარებისა და სწავლის, საკუთარი სწავლის პროცესის თან- მიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის უნარი; ✓ ექნება დარგის პროფესიული, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების, სამედიცინო ეთიკის ძირითადი პრინციპების, პაციენტთა უფლებების, შშმ პირთა უფლებების, კოლეგებთან ურთიერთობის პრინციპების, ჯანდაცვის სამართლის პრინციპების დაცვის უნარი;